



თავდაცვისა და სამხედრო საკითხების გაშუქება ქართულ მედიაში

კვლევის ავტორი: გიორგი ცხვიტავა
პერიოდი: 28 მარტი – 28 აპრილი, 2011

„მედიის განვითარების ფონდის“ პროექტის „მედია მონიტორინგი - პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებული მედიის განვითარებისთვის“ ფარგლებში ექსპერტმა გიორგი ცხვიტავამ 2011 წ. 28 მარტი – 28 აპრილის განმავლობაში განახორციელა თავდაცვისა და სამხედრო საკითხების გაშუქების მონიტორინგი მედიაში. ამასთან, ექსპერტის ნაშრომში მოწოდებულია თანამედროვე სამხედრო ჟურნალისტიკის ისტორიის მოკლე მიმოხილვა.

მცირედი ექსკურსი ქართულ მედიაში თავდაცვისა და უსაფრთხოების გაშუქების ქრონოლოგიისა და დამოკიდებულების შესახებ.

91 წელს ცხინვალის რეგიონში აქტიურ საბრძოლო მოქმედებებს ძირითადად ერთი საერთო ნაციონალური მაუწყებელი – საქტელერადიო კომპანია და რამდენიმე გაზეთი აშუქებდა.

92 წელს, მეორე ფრონტის გახსნის შემდეგ აფხაზეთში გასაშუქებლად ათეულობით კორესპონდენტი იყო მივლინებული. ძირითადად აქაც ბეჭდური მედია გამოირჩეოდა, რადგან რადიო და ტელევიზია ქვეყანაში პირველი და მეორე არხის გარდა არ არსებობდა. მათ გადაცემებში კი ისეთი სახის რეპორტაჟებიც გადიოდა, რომლებიც პირდაპირ უთითებდნენ სამხედრო ქვედანაყოფების დისლოკაციის ადგილებს.

1992 წელს, გაზეთი *შვიდი დღე* რეგულარულად ბეჭდავს რუბრიკას სახელწოდებით - არსენალი.

1992 წლიდან, უფრო მოგვიანებით 1994 წლიდან, გასამხედროებული ფორმირებების ეტაპობრივად დაშლისა და ახალი მედია საშუალებების გამოჩენით იკვეთება სამხედრო ჟურნალისტიკის კონკრეტული კონტურები. პირველ რიგში ახალი ამბების სააგენტოებში გაჩნდა ინფორმაციები თავდაცვის სამინისტროს, საზღვრის დაცვის დეპარტამენტის, შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების მუშაობის შესახებ.

1996 წლიდან გამოდის: ყოველკვირეული გაზეთი *კვირის პალიტრა*, სადაც ასევე ტრადიციული რუბრიკაა – *არსენალი*; გაზეთი *დრონი* – 1997 – 2000, სამხედრო თემებით, თენგიზ გოგოტიშვილი, კობა ლიკლიკაძე; თავდაცვის სამინისტროს გაზეთი *ორბიტა* – 2000

წელი; ჟურნალი *არსენალი* – 2004 წლიდან აგვიტოდან ერთადერთ სატელევიზიო არხზე კი ნაცვლად გადაცემისა სახელწოდებით სამხრეთ *საზღვრებზე* (“ნა იუჟნიხ რუბეჟახ”), რომელიც საბჭოთა პერიოდში გადიოდა, გამოჩნა ახალი გადაცემა *სპა* – სამხედრო პატრიოტული აღმანახი. ეს იყო ყოველკვირეული გადაცემა, რომელიც აშუქებდა არმიის და სამხედრო ქვედანაყოფების ცხოვრებას.

1997 წელს ნატოს გენერალური მდივნის ჰავიერ სოლანას საქართველოში ვიზიტი ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა;

მედიის მხრიდან სამხედრო თემატიკისადმი მეტი ინტერესი უკვე ოთხი წლის შემდეგ გაჩნდა, როდესაც 1998 წელს გალის რაიონში დიდი პროვოკაცია განხორციელდა.

შემდეგ წელს, 1999-ში აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის მინისტრთა კაბინეტის უმრავლესობით დატვირთული ვერტმფრენი, ჯანდაცვის მინისტრთან და ჟურნალისტებთან ერთად კოდორის ხეობაში აიყვანეს, თბილისში აქტიურად აშუქებდნენ ამ სადამსჯელო აქტსაც. ამ პერიოდში, ახალი ამბების სააგენტოებს *იფრინდას*, *პრაიმ-ნიუსს* და სხვებს აქვთ სამხედრო თემებზე მცირე ნიუსები და რეპორტაჟები.

პერიოდულად, საქართველოში მოვლენები უსაფრთხოების მხრივ საკმაოდ ხმაურიანად ვითარდებოდა, შეგახსენებთ ელიავას ამოხებას. მედიის ნაწილი საკმაოდ აქტიურად აშუქებდა მუხროვანის ამოხებას, სადაც რეპორტაჟები რეალურ დროში გადაიცემოდა და მაშინდელმა მე-9 არხმა შეძლო ამბოხებულებთან იმავე ღამით შეღწევა, მეორე დღით კი მოვლენების ეპიცენტრს პირველი არხიც შეუერთდა და მაშინდელი პრეზიდენტის ჩასვლაც და მოლაპარაკებების პროცესიც პირდაპირ ეთერში აჩვენა.

საკმაოდ დიდი დრო დაეთმო, 2001 წელს ქართულ-ამერიკულ – ცნობილ – “წვრთნისა და აღჭურვის” პროგრამის მიმდინარეობას, ვერტმფრენების პროგრამას, სხვადასხვა ორმხრივ ურთიერთობებს. ჯონ მალხაზ შალიკაშვილის ჩამოსვლა სრული სენსაცია იყო.

თავდაცვის სამინისტროს და მედიის თანამშრომლობა ასევე აღნიშვნის ღირსია და ცალკე საუბრის თემაა, რადგან ჩანასახში შეიქმნა ჟურნალისტთა კორპუსი, რომლებიც ძირითადად უსაფრთხოების თემებზე მუშაობდნენ და თავდაცვის სამინისტროსთან მჭიდროდ თანამშრომლობდნენ.

მნიშვნელოვანია ბექდური მედიის დამოკიდებულებაც – 2002-2004 წლებში *მთავარ გაზეთში* ფუნქციონირებს სამხედრო გვერდი 2004-2005 წლებში კი გაზეთ 24 *საათში*.

თავდაცვის სამინისტრო უშვებდა გაზეთს *ორბიტა*-ს, რომლის რედაქტორიც თენგიზ გოგოტიშვილი იყო.

2002 წლიდან ტელეკომპანიები მეტ ყურადღებას აქცევენ სამხედრო და უსაფრთხოების თემებს, თუმცა აქ სამხედრო ჟურნალისტთა სიმცირე და კვალიფიკაცია აშკარად იგრძნობა.

2003 - 04 წლებში კომერციული ტელეკომპანია *მზე* იწყებს დოკუმენტური ფილმების გადაღებას არმიაზე, - ციკლის სახელწოდება – *პროფესია*. რეალურად ამ პერიოდში, მხოლოდ პირველ არხზე (რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდებოდა) კეთდებოდა გადაცემა ჯარის შესახებ – სახელწოდებით *მხედრობა*;

2004 წელს, ცხინვალის რეგიონში საბრძოლო მოქმედებების გაშუქება ყველა არხზე განხორციელდა;

2005 წელს, ეთერიდან მოიხსნა ამ ტიპის გადაცემები და ფილმები, ბექდურ მედიაში სამხედრო გვერდი დარჩა მხოლოდ გაზეთ *კვირის პალიტრაში* და იმავე საგამომცემლო სახლის ჟურნალი *არსენალი*.

2006 წლიდან საზოგადოებრივ მაუწყებელზე იწყება დოკუმენტური ფილმების ციკლი სახელწოდებით – *გზა ნატოსკენ*. 5 ფილმიან ციკლი მოთხრობილი იყო ნატოს შექმნის ისტორიიდან მოყოლებული საქართველოს თანამშრომლობა ამ ორგანიზაციასთან. ნატოს 26+1 შეხვედრაზე იმავე წელს, საქართველოს ეს ფილმი აღნიშნეს, როგორც წინ გადადგმული ნაბიჯი საზოგადოების ინფორმირების თვალსაზრისით ნატოს შესახებ;

იმავე წელს, კვლავ საზოგადოებრივ არხზე იწყება ახალი პროექტი სამხედრო და უსაფრთხოების შესახებ სახელწოდებით – *პროფესია ჯარისკაცი*;

2007 წელს *რუსთავი 2*-ზე იწყება რეალითი შოუ – *ყაზარმა*.

2007 წელს მედია სივრცეში გაჩნდა ახალი ტელეკომპანია – *საქართველო*, რომელიც იყო ევროპული ქვეყნებში არსებული სამხედრო არხის “ანალოგი”, თუმცა გერმანული და ფრანგული არხები დახურულ სიხშირეზე მაუწყებლობდნენ და ისიც მხოლოდ სამხედრო ბაზებზე. ჩვენს შემთხვევაში კი მაუწყებლობა ღია სიხშირეზე - არხზე ხდებოდა.

საკანონმდებლო რეგულაციის საკითხები

საქართველოს კანონმდებლობით, სამხედრო და უსაფრთხოების საკითხების შესახებ რეპორტაჟების მომზადებაზე შეზღუდვა არ არსებობს.

საკანონმდებლო კუთხით, გარკვეულ რეგულაციებს აწესებს რამდენიმე კანონი: კანონი საომარი მოქმედებების შესახებ, საჯარო ინფორმაციის გამოთხოვაზე კი რიგ კანონებში შეზღუდვებია, მაგალითისთვის ორ კანონს მოვიყვანოთ: კანონში სადაზვერვო საქმიანობის შესახებ პირდაპირ მითითებულია: 11. არავის არა აქვს უფლება, მოითხოვოს ინფორმაცია იმ პირთა ან ორგანიზაციათა შესახებ, რომლებიც კონფიდენციალურად თანამშრომლობენ (თანამშრომლობდნენ) სადაზვერვო დაწესებულებასთან, გარდა საქართველოს კანონმდებლობით საამისოდ უფლებამოსილი პირისა.

კანონში საომარი მოქმედებების შესახებ პირდაპირ მითითებულია:

ო) კანონმდებლობის შესაბამისად კონტროლი დაუწესონ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს;

ამ შემთხვევაში საკანონმდებლო ბაზის სრულფასოვან მიმოხილვას არ ვცდილობთ, მაგალითად მოყვანილი ამონარიდები მხოლოდ თვალსაჩინოებისთვის წარმოვადგინეთ.

გარდა ამისა, ჟურნალისტთა ქარტიაში არაფერია ნათქვამი სამხედრო და უსაფრთხოების თემების გაშუქების სტანდარტის შესახებ.

მედია-მონიტორინგი

მედია-მონიტორინგის ინტერესის სფეროში იყო საზოგადოებრივი მაუწყებლის, რუსთავი 2-ის, იმედის, მაესტროსა და კავკასიის საინფორმაციო გამოშვებები. ასევე გაზეთები: 24 საათი, რეზონანსი, ალია, ასავალ დასავალი, კვირის პალიტრა მონიტორინგი განხორციელდა როგორც რაოდენობრივი, ისე თვისობრივი კუთხით.

ბეჭდური მედია:

2011 წ. 28 მარტი-28 აპრილი.

მონიტორინგის მანძილზე ყურადღება გაამხვილდა: ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე, ჟურნალისტების კვალიფიკაციაზე, თემის ცოდნასა და გამლაზე.

სამწუხაროდ, მთელი თვის მანძილზე უსაფრთხოების და თავდაცვის შესახებ თემები პრესაში ფაქტიურად არ ფიგურირებდა. მასალების უმრავლესობა კი, რაც გამოქვეყნდა იყო ძირითადად მიმოხილვითი ხასიათის.

გაზეთი - 24 საათი

მონიტორინგის პერიოდი დაემთხვა ლიბიაში ნატოს ოპერაციის წარმოებას. ამ ჭრილში კი თანმიმდევრული 24 საათი იყო, რომელიც სხვა გამოცემებისგან განსხვავებით ვრცელ მასალებს სთავაზობდა მკითხველს.

ამასთან, 30 აპრილს – ქართული არმიის დღეს, ბეჭდურ მედიაში ნაკლებად მიექცეის ყურადღება.

მონიტორინგის პერიოდში არ შეგვხვედრია თავდაცვის მინისტრის, გაერთიანებული შტაბის უფროსის ან შეიარაღებული ძალების ოფიციალური წარმომადგენლის ინტერვიუ ან კომენტარი. ბეჭდურ მედიაში თავდაცვის სამინისტროზე დაყრდნობით არცერთი მასალა არ გამოქვეყნებულა და არც მცდელობა ყოფილა, რაიმე მასალის ამ უწყებაში გადამოწმებისა.

ოდნავ განსხვავებული მდგომარეობაა ნაციონალურ მაუწყებლებზე, სადაც მცირე კომენტარებსა, თუ სიუჟეტებს ვხვდებით, თუმცა, კრიტიკული რეპორტაჟები არ შეგვხვედრია.

მიუხედავად იმისა, რომ მონიტორინგის პერიოდი დაემთხვა ლიბიაში ნატოს ოპერაციის რამდენიმე ფაზას (გაეროს როზულიციიდან დაწყებული, ნატოს ავიარეიშების ჩათვლით), თანმიმდევრული, რაც ყოველდღიურ ფურცლებზე აისახებოდა, მხოლოდ გაზეთი 24 საათი იყო.

გაზეთი თითქმის ყოველდღიურ რეჟიმში აშუქებდა ლიბიის ამბებს. ოპერაცია და მისი ყველა დეტალი უცხოურ საინფორმაციო საშუალებების მიერ გავრცელებული ცნობებიდან იყო აღებული და მიმოხილვით ხასიათს ატარებდა.

ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსისა და საქართველოს ურთიერთობების შესახებ 24 საათში 8 აპრილს ჯეიმს აპატურაის საქართველოში ვიზიტს გამოეხმაურა. ავტორი ნატოს მაღალჩინოსნის (ნატოს გენმდივნის პეციალური წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში) ვიზიტის ფარგლებში გამართულ ასპექტებზე ამახვილებს ყურადღებას.

ამავე ნომერში, პუბლიკაციაში - *ნატოს კუთხე – სეპარატისტების შიშის მიზეზი*, ავტორი სოფელ ერგნეთის საჯარო სკოლაში ნატოს შესახებ საინფორმაციო ცენტრის მიერ გახსნილ კუთხეზე საუბრობს, ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების ჯგუფის შეხვედრის ფორმატში.

სტატიაში - *რუსეთის პროპაგანდისტული ანკესი*, კი საუბარია ცხინვალის რეგიონის საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, კონკრეტული თანხების გამოყოფაზე და კონკრეტულ მონაკვეთებზე, როგორცაა: ცხინვალი-ახალგორი, დმენისი-ახალგორი, ცხინვალი-ზნაური, ოტრეუ-არცევი, გრომ-წინაგარი, გუფთა-კვაისას, მონასტერი-ახმაჯის, ახმაჯი-ლენინგორის და სინაგური-კარზმანი. სამწუხაროდ, მასალა იყო მხოლოდ სეპარატისტული და რუსული საინფორმაციო საშუალებებზე დაყრდნობით ნათარგმნი და შემდეგ კომენტარის სახით, საქართველოს პარლამენტის ერთ-ერთი კომიტეტის აპარატის უფროსის მოსაზრებაა თანდართული, რაც მოვალეობის მოხდის მიზნით ჩამორთმეულ კომენტარს უფრო ჰგავს, ვიდრე - დამატებითი ინფორმაციის მისაღებად არებულს.

სტატიაში - *პოლიგონების ქვეყანა* აფხაზეთში ოკუპანტ მესაზღვრეთა რაოდენობის გაზრდის თაობაზეა საუბარი, თუმცა აქაც კომენტარები უბრალოდ „მიწებებულია“. არაფერია ნათქვამი მოსალოდნელ საფრთხეებზე, მოვლენების განვითარების შესაძლო სცენარებზე და ა.შ.

გაზეთში ამავე პერიოდში გამოქვეყნებულია სტატია - *საქართველო-ნატოს დაახლოების ძლიერი პოლიტიკური ელემენტი* – ნატოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტის კარლ ლამერსის თბილისში ვიზიტის შესახებ და როუზ-როზის 76-ე სემინარის შესახებ მასალა.

ცალსახად უნდა აღინიშნოს, რომ გაზეთი “24 საათი” უცხოურ სიახლეებში უდაოდ ფაქტობრივად და საკმაოდ კარგად გადმოსცემს მსოფლიოში განვითარებულ მოვლენებს, რუსეთში (მის სამხრეთით ჩრდილო კავკასიაში) განსაკუთრებით კი არაბულ სამყაროში, რომელსაც ყოველ ნომერში უთმობდა ადგილს.

სამწუხაროდ საქართველოს ამბები – უსაფრთხოებასა და თავდაცვაზე გაზეთ „24 საათში“ არ იყო წარმოდგენილი. თუ არ ჩავთვლით საქართველოში ნატოს მაღალი რანგის დელეგაციების ვიზიტებს.

სტატიები ძირითადად რეპორტაჟულია. ანალიტიკა აქ არ გვხვდება.

გაზეთი - კვირის პალიტრა

გაზეთი - კვირის პალიტრა ყოველკვირეული გაზეთია. გაზეთს აქვს რუბრიკა – *არსენალი*, რომელიც ყოველკვირეულად ახლდება:

11-17 აპრილის გაზეთში – სტატიაში - *ქართველ სამართალდამცველებს კოსმოსიდან აფიქსირებენ* – ვკითხულობ ავტორ ირაკლი ალადაშვილის მასალას, - გასული წლის ნოემბერში დაგეგმილი აქციებისა და მათი დაშლის მოსამზედებელი წვრთნების შესახებ. მასალა აგებულია *გოგლე მაკ* – ზე განახლებულ ფოტოზე, სადაც კარგად ჩანს ცოცხალი “კოლოფი”. სხვა წყარო მასალაში მითითებული არ არის.

იმავე ნომრის რუბრიკაში კიდევ ერთი მასალა: *კინშასა – ყველაზე საშიში აეროპორტი*, სადაც გაეროს წარწერით მფრენი ქართული “ჩღუ-100” კატასტროფა განიცადა და ერთის გარდა, ბორტზე მყოფი ყველა ადამიანი და მათ შორის ქართული ეკიპაჟი დაიღუპა.

28 მარტის ნომერში – *დავით გარეჯში ნგრევა გრძელდება* – ავტორი შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფის წვრთნაზე წერს, რომელიც გარეჯის მონასტერს აზიანებს. სტატიაში წყაროებად ძირითადად სახელმწიფო მოხელეები არიან გამოყენებული.

4-10 აპრილის რუბრიკა *არსენალში* სტატია *მძიმე შეიარაღება მართლაც გვჭირდება, მაგრამ ვინ გვაძლევს* არის გამოქვეყნებული.

31 მარტს - სტატიაში - *ჰექსოგენის თემა აქტუალურობას არ კარგავს* საუბარია შსს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაზე ტერაქტების აღკვეთის თაობაზე; გამოთქმულია ეჭვები რუსული მხარის მოქმედების პრიმიტიულობაზე;

ომის გზაზე ჯიპებით - ლიბიაში განვითარებულ მოვლენებს ეხება;

შემდეგ ნომერში ავტორი აქვეყნებს სტატიას – *ისრაელთან სამხედრო თანამშრომლობის დასასრული?!* – სადაც ელბიტ სისტემის მოთხოვნასთან დაკავშირებით, ავტორი მიმოიხილავს საქართველოსა და ისრაელს შორის სამხედრო თანამშრომლობის საკითხებს ბოლო პერიოდში. ამ მასალაც, ისევე, როგორც სხვა სტატიები ძირითადად მიმოიხილვითი ხასიათისაა.

25 აპრილი – 1 მაისის ნომერში: სამხედრო თემაზე – *ქართულ ცაში გაწყვეტილი რუსულ-სომხური სამხედრო თანამშრომლობა* – საუბარია საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე – 2006 წლის ხელშეკრულების გაუქმებაზე, საქართველოს ტერიტორიის გავლით სამხედრო ტვირთებისა და პერსონალის ტრანზიტის შესახებ.

აქვე გამოქვეყნებულია სტატია - ნატო ლიბიაში ინსტრუქტორებსა და უპილოტო საფრენ აპარატებს გზავნის.

2-8 მაისი: ქართული არმია – ოცი წელი და უფრო მეტი კითხვები.

“ვეირის პალიტრის” ამ რუბრიკაშიც ძირითადად მიმოხილვითი და ანალიტიკური მასალები გვხდება, რაც ამ გაზეთის ბრენდად შეიძლება მივიჩნიოთ. ამასთან სამხედრო გვერდზე, როგორც წესი არ გვხვდება ინტერვიუები ან წყაროების მითითებით გამოქვეყნებული მასალები, იშვიათი გამონაკლისების გარდა.

გაზეთი - რეზონანსი

რეზონანსი ყოველდღიური გაზეთია და აქ სტაბილურად შუქდება სამხედრო და უსაფრთხოების საითხები.

მონიტორინგის პერიოდში გამოქვეყნებულ სტატიაში - *სამხრეთ ოსეთში რუსულ ბაზაზე საკონტროლო სამუშაოები დაწყდა*, საუბარია რუსეთის მე-4-ე ბაზის ინსპექტირებაზე, გამოყენებულია *ოსინფორმის* ცნობა და ამ ინფორმაციაზე ხდება მასალის აწყობა, სადაც კომენტარებს ზაალ კასრელიშვილი და ირაკლი სესიაშვილი აკეთებენ.

რეზონანსი უსაფრთხოების თემატიკაზე მოკლე ცნობებს აქტიურად აქვეყნებს, გამოცემის გვერდებზე წაიკითხავთ მცირე ზომის ინფორმაციებს ავღანეთში ქართული კონტიგენტის გაგზავნაზე, ისრაელის მიერ სოხუმისთვის იარაღის მიწოდებაზე თუ არმიწოდებაზე, უცხოეთის ამბებზე. ლიბიის ოპერაციის შესახებ და თითქმის ყოველდღიურად ჩრდილოეთ კავკასიაში მიმდინარე მოვლენების შესახებ.

რეზონანსში გვხვდება სტატია ასევე თემაზე: *მიაწვდის თუ არა ისრაელი აფხაზეთს იარაღს?*

სტატია - *ქართული სარეზერვო სისტემა – სახლის ამენება სახურავიდან* კი მხოლოდ ერთ რესპოდენტზე დაყრდნობით არის მომზადებული.

იმავე ნომერში – პირდაპირ არის დაბეჭდილი *თავდაცვისა და უსაფრთხოების სამოქალაქო საბჭოს* გამგეობის წევრის თეონა აქუბარდიას წერილი – *რატომ სურთ ჩვენს მოქალაქეებს სამხედრო რეზერვში სამსახურის თავის არიდება*. რეზერვთან დაკავშირებით არ გვხვდება თავდაცვის სამინისტროს კომენტარი, მისი პოზიცია და სამწუხაროდ არც პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის რომელიმე წევრისა, რომელიც საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში მოახდენდა სურათის შეფასებას.

რეზონანსში ასევე გვხვდება სტატიები და მოკლე ინფორმაციები შემდეგ თემებზე: ლიბიაში მიმდინარე მოვლემები; მოკლე ინფორმაციები ავღანეთის შესახებ; სტატია *საკაპშვილი: საქართველოს აშშ-სგან მძიმე ანტისაჰაერო და ტანკსაწინააღმდეგო*

იარაღი სჭირდება – სააგენტო მედიანიუსის ცნობა; 1 აპრილის ნომერში სტატია – ლეიტენანტი ვალოდია და 15 კგ ჰექსოგენი – ქუთაისში აღკვეთილი ტერაქტების შესახებ; რუსმა სამხედროებმა გალში 33 ადამიანი დააკავეს; რუსი სპეცრაზმელები აფხაზეთის არმიაში ეწერებიან; საფრანგეთი კოტ დიუვარის ომშიც ჩაება; დოკუ უმაროვი და მისი მეუღლე ცოცხლები არიან; ბაქო მზვერავი-თვითმფრინავების წარმოებას იწყებს; აშშ-ის დაზვერვის შეფმა მოსკოვი და პეკინი აშშ-ის მოსისხლე მტრებად გამოაცხადა; სამხრეთ ოსეთში კოსმონავტების ბაზის აშენება სურთ – ინტერფაქსი; ქართული არმიის 33-ე ბატალიონი ავღანეთში გაემგზავრა; გალში აფხაზი მეზაჟე მოკლეს; აშშ-ს ლიბიის ოპერაციის ერთი დღე 225 მილიონი უჯდება; რუსეთის საქართველოზე თავდასხმის არსებობა არსებობს... ამ და სხვა მოკლე ცნობების გარდა მკითხველისთვის საინტერესო იქნებოდა ვრცელი მასალებისა და სტატიების შეთავაზება, თუმცა გამოცემაში სამწუხაროდ ასეთი იშვიათად გვხვდება.

ტერორიზმთან ბრძოლა მკაცრდება და მარტივდება – მხოლოდ ამ მასალაში გვხვდება საკანონმდებლო აქტის განხილვა და მუხლობრივად შეთავაზებული მკითხველისთვის.

ასევე გამოქვეყნებულია ინტერვიუ ირაკლი სესიაშვილთან: “ლოგიკურია, რომ საქართველოს არ აქვს სურვილი ხელი შეუწყოს რუსეთის ბაზების გაძლიერებას”; “ებრაული კომპანია საქართველოს ლონდონში უჩივის”... 23 აპრილს კი ფორინპრეს.გე-ზე ქართულ ენაზე ნათარგმნი ჯომუა კუცერას სტატია – საქართველო არ დაუშვებს რუსულ სამხედრო ტრანზიტს სომხეთში, მაშ ზერბაიჯანი დაუშვებს? (თარგმნილი „ევრაზია ნეტიდან,“) პირდაპირ არის გამოქვეყნებული რეზონანსში.

მასალების უდიდესი ნაწილი მხოლოდ ინტერვიუებსა და კომენტარებზე არის აგებული; სტატიებში არ ჩანს არც ერთი სახელმწიფო ინსტიტუტისა და ჩინოვნიკების კომენტარები. ამკარად იკვეთება ტენდენცია, რომ რეპორტიორები უბრალოდ არ მიმართავენ შესაბამის ოფიციალურ სამსახურებს (ერთი თვის დაკვირვება არასრულყოფილია, თუმცა გარკვეული ზედაპირული დასკვნების გამოტანის საშუალებას იძლევა), ამასთან ჟურნალისტები ძირითადად ურთიერთობენ ისეთ რესპოდენტებთან, რომლებიც ადვილად ხელმისაწვდომი არიან.

გაზეთი - ქრონიკა

ქრონიკა – აბსოლუტურად განსხვავებული სურათია გაზეთ ქრონიკაში, სადაც ამ ერთი თვის მანძილზე, საინფორმაციო სააგენტოებისა და საკუთარი მცირე მოცულობის ინფორმაციების გარდა, სამხედრო და უსაფრთხოების თემებზე სტატია არ შეგვხვდრია.

გაზეთი - ასავალ დასავალი

ასავალ დასავალი - ყოველკვირელი გაზეთი. გაზეთში სამხედრო და უსაფრთხოების თემებზე სტატიები, ანალიტიკური მასალები ან მიმოხილვები წარმოდგენილი არ არის. ამ მიმართულებაზე ინტერვიუებიც ფაქტიურად არ იბეჭდება. მონიტორინგის პერიოდში (რაც კიდევ ერთხელ ვიტყვით, რომ შესაძლოა სრულ სურათს არ გვაძლევდეს) ამ თემებზე მასალა არ შეგვხვდებოდა. ერთადერთი ინტერვიუ, რომელიც შეგვხვდა მე-14-ე ნომერში არის – *რა საფრთხე გველის მცხეთის რეაქტორიდან?*, - სადაც ერთ რესპოდენტზე დაყრდნობით ხდება მასალის გაშლა. ამ მასალაშიც, ისევე, როგორც უმრავლეს ბეჭდურ გამოცემებში, მასალა მხოლოდ ერთ რესპოდენტზე დაყრდნობით იწერება და სახლმწიფო ინსტიტუტებში (ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სამსახური) ინფორმაციის გადამოწმება არ ხდება.

ტელევიზიები:

მონიტორინგის პერიოდში ჩვენ დაკვირვება ვაწარმოეთ 2011 წ. 28 მარტი – 28 აპრილის განმავლობაში ტელევიზიების მთავარ გამოშვებებზე. პირველი, რაც ტელევიზიებში სამხედრო თემატიკის გაშუქების თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს, მისი გაშუქების დაბალი ინტელსივობაა. მონიტორინგის პერიოდში სულ რამდენიმე სიუჟეტია გასული სამხედრო თემატიკაზე ტელეეთერში და ხშირ შემთხვევაში თემატიკის დუბლირებასთან გვაქვს საქმე.

1. საზოგადოებრივი მაუწყებელი, მოამბე, 20 საათი

08.04.2011 რეპორტაჟი ავღანეთიდან – პეტრეუსის ინტერვიუ, შეფასება ქართული ქვედანაყოფის, ქრონომეტრაჟი 03.40, - *მოამბის* ექსკლუზიური ინტერვიუ პეტრეუსთან, ინტერვიუ, ნოდარ ხარშილამესთან, დანაკარგებზე რეპორტაჟის ბოლოში იყო საუბარი, თუმცა არც სტენდაფი იყო ჩაწერილი და არც ჯარისკაცებთან ინტერვიუ, რაც გვაფიქრებინებს, რომ მასალა ან გადმოცემული იყო ტრადიციულად თავდაცვის სამინისტროს მიერ, ან ძველი ჩანაწერი გავიდა.

11.04.2011 ვიკინგი – ნატოს სწავლება, შვედეთის საფემოს ორგანიზებით ჩატარებული წვრთნები, - რატი მუჯირის რეპორტაჟი – 03.20 ქრონომეტრაჟი, საშტაბო წვრთნა – 4 ბრიგადაში, 15 აპრილამდე გაგრძელდა, თუმცა მხოლოდ ამ ერთი რეპორტაჟით შემოიფარგლა მოამბე. ამასთან არ მომხდარა შეფასება ან ექსპერტის ან ტადარიგში გასული ოფიცრის მიერ სწავლების მნიშვნელობა და მისი მხარეები.

12.04.2011. ავღანეთის სამშვიდობო მისიაში საქართველოს შეიარაღებული ძალების გეგმიური როტაცია დაიწყო. 32 ბატალიონს ჰელმადის პროვინციაში 33 ბატალიონი შეცვლის, რომელმაც მსოფლიოს ცხელ წერტილებში 6 თვე იმსახურა. გაცილების ოფიციალური ცერემონია ვაზიანში, მე-4 ქვეითი ბრიგადის ბაზაზე გაიმართა. სიუჟეტში გვხვდება ჯარისკაცების და თავდაცვის მინისტრის სინქრონი. როგორც წესი სიუჟეტებში არ ისმის კითხვები, ან არგუმენტები, რომელიც

საზოგადოებისთვის დამაჯერებელს გახდიდა ავღანეთში ქართული კონტიგენტის გაგზავნას.

ამავე დღეს გავიდა შემდეგი მასალა მოამბეში: საქართველოში რასმუსენი ალიანსის წევრ 28 სახელმწიფოს წარმოადგენელთან ერთად ჩამოვა. (სიუჟეტი და ჩართვა ბერლინიდან).

14.04.2011 ნატოს მინისტერიალი, გერმანიაში ქართული დელეგაცია ვაშაძის ხელმძღვანელობით, ნატო-საქართველოს კომისიის სხდომაც, აისაფის ოპერაციაში მონაწილე ქვეყნების საგარეო მინისტრების შეხვედრა. რეპორტაჟი ბერლინიდან. ქრონომეტრაჟი – 05.32.

15.04.2011 რასმუსენის ჩამოვა ნოემბერში, ბერლინში შეკრებილებმა დაადასტურეს. რეპორტაჟი ბერლინიდან. 06.07 – 2011 ყველაზე დატვრითული იქნება, ვაშაძის შეფასება

15.04.2011 ქართული კონტიგენტი ავღანეთში, რატი მუჯირის სიუჟეტი, 03.09 – რეპორტაჟი ადგილიდან, ჯანჯღავას სინქრონი, სიმაღლის აღება, ადგილობრივებისაც, ერიკ სმიტის სინქრონი – საზღვაო ქვეითების მეთაური. ავღანელის სინქრონიც. აქაც სტენდაფი არ იყო.

19.04.2011 ჰილარი კლინტონის სიტყვა – ბერლინის მინისტერიალზე.

20.04.2011 ფილიპ გორდონის განცხადება ანტისარაკეტო სისტემების განლაგებაზე. არ არსებობს რუსეთის ან რომელიმე სხვა ქვეყნის ვეტო, ნატოს ანტისარაკეტო თავდაცვის სისტემების განლაგების თაობაზე. ლიბია, ფრანგი და იტალიელი სამხედრო ინსტრუქტორების გაგზავნაზე.

30.04.2011 – არმიის დღე – ორი რეპორტაჟი, - 20 წლის იუბილე, პრეზიდენტის ვაზიანში სტუმრობა და ვაჟთან ერთად წვრთვებზე დასწრება, უმაღლესი მთავარსარდლის მიმართვა ჯარისკაცებისადმი, თუმცა არმიის 20 წლის ისტორიაზე არაფერი იყო ნათქვამი, შეიქმნა ისეთი შთაბეჭდილება, რომ მხოლოდ წვრთნები იყო მთავარი და არა შეიარაღებული ძალების ისტორია, 91-დან დღემდე.

2.05.11 საუკუნის ოპერაცია ბინ ლადენის ლიკვიდაციის შესახებ.

2. ტელეკომპანია „კავკასია“

15.04.2011 – ისრაელური კომპანიის ნათია ორველაშვილის სიუჟეტი, აფხაზეთში შ/მ მომზადების თაობაზე. გლობალ სიესტის შესახებ, პოლიტიკოსების შეფასებები, ისრაელელი ბიზნესმენების დაკავების ჭრილში.

30.04.2011 –20 წლის იუბილე, რეპორტაჟი ვაზიანიდან; აქცენტი სწავლების სცენარზე. ქრონომეტრაჟი 05,45. სიუჟეტის ბოლოს, სააგენტო ინტერპრესნიუსის

ინფორმაციის ციტირება, რომ ტრადიციულად ამ დღეს – 30 აპრილს, ჯარისკაცებს აჯილდოვებენ და დალუპულების მემორიალებს ყვავილებით ამკობენ.

3. ტელეკომპანია „იმედი“

07.04.2011 – აპატურაის ვიზიტი

16.04.2011 – ნატოს ტელევიზიის მიერ მომზადებული რეპორტაჟი – პირდაპირ ითარგმნა იმედის მიერ.

30.04.2011 – საველე სწავლებას პრეზიდენტი დაესწრო – ამ სლოგანით გავიდა იმედის მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში რეპორტაჟი, სადაც საუბარი იყო იმაზე, რომ სწავლება არმიის 20 წლის იუბილეს დაემთხვა და, რომ წვრთნებს პრეზიდენტთან ერთად მისი უმცროსი ვაჟი აკვირდებოდა. 06.47 ქრონომეტრაჟით – უმაღლესი მთავარსარდლის მიმართვა, თუმცა აქაც, ისევე, როგორც სხვა არხებზე არაფერი იყო ნათქვამი და არ იყო მოთხრობილი არმიის ფორმირებაზე და მის მცირე ისტორიაზე.

ტერორისტული აქტების შესახებ მასალები, პირველივე ბლოკის პირველივე სიუჟეტები იყო, ქუთაისიდან ჩართვა 09.06 სრული ქრონომეტრაჟი ჩართვებისა და რეპორტაჟების.

4. ტელეკომპანია „მესტრო“:

08.04.2011 დასახლება პობედა – ირაკლი დანელია ავტორი, ქრონომეტრაჟი 05.15. ნათელა ჩხაიძე – ჩაწერისა და სოციალური პრობლემების შესახებ. უსტატუსოდ დარჩენილი დასახლება. დასახლება პობედა.

14.04.2011 ისრაელური კომპანია გლობალ სიესტის დელეგაციეს ჩასვლა აფხაზეთში. ისრაელის სახელმწიფო აფხაზეთს იარაღს არ მიაწდის – რევანშის გადახდა, ირანთან უვიზო რეჟიმის დამყარებაზე და ბიზნესმენების დაკავებაზე. გიორგი თავდგირიძე – სოსო ცინცაძე, სიუჟეტიც ერთჯერადი იყო და 1 თვის მანძილზე საინფორმაციო გამოშვებებში ეს თემა აღარ ფიგურირებდა.

15.04.2011 იზრუსის ინფორმაციის შესახებ 51 წამი – ქრონომეტრაჟი, გლობალ სიესტას ხელმძღვანელობაზე შესაძლო ზეწოლის მოხდენაზე.

15.04.2011 ბერლინის მინისტერიალი, ნატოს საგარეო საქმეთა მინისტერიალ. რასმუსენის განცხადება ნატო-საქართველოს თანამშრომლობის შესახებ ქრონომეტრაჟი 04.27 – გიორგი ფოფხაძის ჩართვა ბერლინიდან, მინისტერიალის მიმოხილვით. რეკომენდაციით, თავისუფალი სასამართლოს და ა.შ.

5. ტელეკომპანია „რუსთავი 2“

04.04.2011 – კურიერი საჩხერის სამთო – სკოლა, რეპორტაჟი დავით ქაშიაშვილის წვრთნიდან. ბალტიისპირეთიდან ჩადიან, მინისტრიეს მოადგილის ხარშილადის ინტერვიუ – მოამზადოს პფკ-ის საწვრთნელი სტატუსი აქვს მინიჭებული, მოამზადოს სამხედროები სხვადასხვა სამხედრო დისიპლინებში, რის საშუალებასაც საქართველო იძლევა.

08.04.2011 – თავდაცვის აკადემიის შესახებ რეპორტაჟი – დავით კაკულიას რეპორტაჟი , ქრონომეტრაჟი 02.23 – აკადემიის უფროსის ინტერვიუ, უცხოელი სტუდენტების მოწვევაზე, ნატოს წევრი და პარტნიორი ქვეყნების, მაკარაძე. ბარამიძე – კავკასიის საკითხთა შემსწავლელი ცენტრიც გაიხსნება, სიუჟეტის ბოლოში.

15.04.2011 – ჰელმანდიდან – კაკულიას ჩართვა სტუდიიდან, ჯანჯღავას ინტერვიუ, ერიკ სმიტი, აშშ-ს საზღვაო ქვეითთა ბრგადის მეთაური. ავღანელი ჯარისკაცის ინტერვიუ. იდენტური მასალა, რაც სხვა ნაციონალურ მაუწყებლებზე გავიდა, განსხვავება მხოლოდ კაკულიას სტუდიური ჩართვა იყო.

19.04.2011 – ნატოს არხის მიერ მომზადებული რეპორტაჟი ნიკა ჯანჯღავაზე – დავით კაკულიას რეპორტაჟი. აქაც, ისევე, როგორც იმედსა და საზოგადოებრივზე, იდენტური – თარგმანი სიუჟეტი გავიდა.

30.03 აისაფის ოპერაციაში მონაწილეობის მისაღებად 33 ბატალიონი გაემგზავრა.

30.04.2011 ქართული არმიის 20 წელი, თენგიზ გოგოტიშვილი – მხოლოდ ეს რეპორტაჟი იყო შედარებით მიმოხილვითი, რაც ავტორის გამოცდილებაზე და ცოდნაზე მეტყველებს. სიუჟეტი კვ-ში გავიდა. ამასთან სხვა არხებისგან და თვითონ კურიერისგან განსხვავებით, ავტორის რეპორტაჟში სამხედრო ნიუანსებზეც გამახვილდა, რამაც გაამდიდრა მასალა.

დასკვნა

ერთი თვის დაკვირვების შედეგად (მართალია 1 თვე საკმარისი არ არის, რადგან ვითარებას დინამიკაში ვერ ვხედავთ) გამოჩნდა, რომ მედია ან განზრახ არიდებს თავს თავდაცვისა და უსაფრთხოების თემატიკას, ან რეპორტიორების კვალიფიკაცია არ არის შესაბამისი.

მასალებში აშკარად შეიმჩნევა ინფორმაციის და წყაროების სიმცირე;

ინფორმაციის ხელმისაწვდომობა: სატელევიზიო არხებზე ერთთვისანი დაკვირვების შედეგად ასევე გამოიკვეთა, რომ ნაციონალურ არხებზე გასული რეპორტაჟების უმრავლესობა ან მოძვენებულია, ან ცალმხრივია. (ავღანეთში საქართველოს შეიარაღებული ძალების ბატალიონის გაგზავნის შესახებ რეპორტაჟებში არ ჩანს არცერთი კომპანიის ლოგოთი მიკროფონები, რაც გვიბიძგებს აზრისკენ, რომ

კადრებიცა და ინტერვიუებიც თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლების მიერ არის მომზადებული და შემდეგ მიწოდებული).

კრიტიკული სტატიები და რეპორტაჟები ამ ერთი თვის მანძილზე არც ტელევიზიებში და ფაქტიურად არც ბეჭდურ მედიაში (კვირის პალიტრისა და რამდენიმე სტატიის გამოკლებით) არ შეგვხვედრია.

სამხედრო ობიექტებიდან ყველა არხმა მხოლოდ 30 აპრილს გამართული წვრთნების შესახებ რეპორტაჟები გადმოსცა, თუმცა არც ერთი მასალა, არც მიმოხილვითი და არც ანალიტიკური, არმიის 20 წლის იუბილესთან დაკავშირებით არ შეგვხვედრია.

ფაქტიურად არც სატელევიზიო და არც საგაზეთო რეპორტაჟებში წყაროებთან მუშაობა არ ხდება. რეპორტიორების ინფორმირებულობის დონე საკმაოდ დაბალია, რაც მასალებშიც აისახება. გაზეთებშიც სამხედრო თემატიკაზე ძირითადად საინფორმაციო სააგენტოების მიერ მიწოდებული ცნობების დაბეჭდვა ხდება.

საქართველოს რეალობაში, როდესაც ქვეყნის 20 პროცენტი ოკუპირებულია, მოსახლეობას – გადასახადის გადამხდელებს მეტი ინფორმაცია უნდა ჰქონდეთ უსაფრთხოების, ოკუპირებული ტერიტორიების და არმიის ყოველდღიური ცხოვრების შესახებ.



მედიის განვითარების ფონდი